ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის“ მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ დაფუძნდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შემდეგ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე 2014 წლის 14 ივლისის №51 განკარგულებით.

ფრაქციას აქვს წესდება და პოლიტიკური პლატფორმა და მისი საქმიანობა ეფუძვნება „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საკრებულოს დებულების, პარტიის პლატფორმით განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს.

ფრაქცია შედგება საკრებულოს სამი წევრისაგან, რომლებიც რეგლამენტის შესაბამისად გაერთიანებული არიან საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში. ფრაქციის წარდგინებით მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარედ საკრებულომ დაამტკიცა ფრაქციის წევრი, ვარძიის მაჯორიტარი დეპუტატი გივი ხიჯაკაძე, რომელიც მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება სადეპუტატო უფლება-მოვალეობის განხორციელებას.

ფრაქცია თავის საქმიანობას ძირითადად წარმართავს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომლის შედგენა ხდება დეკემბერში და მის ორგანიზაციულ ფორმას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

განსახილველ საკითხთა ნუსხა მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების, ეკონომიკის ამოწევისა და მართვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და გააქტიურების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ფრაქციის 12 სხდომა.

2014 წლის 4 აგვისტოს შედგა „ქართული ოცნება-მრეწველების“ პირველი სხდომა. მოსმენილი იქნა სახელმწიფო პროგრამა /პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა/ „აწარმოე საქართველოში“. სხდომაზე გამახვილდა ყურადღება ამ მნიშვნელოვანი პროგრამის ირგვლივ. გამოითქვა აზრი, რომ ახლო კონტაქტი დავამყაროთ მოსახლეობასთან. გავაცნოთ პროგრამის კომპონენტები, შევისწავლოთ მათი წინადადებები, მივცეთ მხარდაჭერა მევენახეობის, მეაბრეშუმეობის კოოპერატივების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავების საწარმოს შექმნის აუცილებლობას იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი კრედიტების უზრუნველყოფის გზით. იმავე დღეს საკრებულოს სხდომაზე გავაკეთე განცხადება აღნიშნული პროექტის მნიშვნელობის შესახებ და ვთხოვე დეპუტატებს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გააქტიურდა მოქალაქეთა მიღება საკრებულოში და შეხვედრები მოსახლეობასთან.

სოფელ ფარცხნალში მცხოვრებმა ელდარი ბუაჩიძემ დააყენა საკითხი აბრეშუმის მურის წარმოების აღდგენის შესახებ, რომლის მწარმოებელი

პიროვნებები სოფლად არიან და გამოცდილებაც გააჩნიათ. მოითხოვა მხარდაჭერა ხელისუფლებისაგან მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის სანედლეულო ბაზის შესაქმნელად თუთის ნერგის წარმოებისა და გამოყვანის თაობაზე.

2014 წლის 11 აგვისტოს ფრაქციის რიგგარეშე სხდომაზე ფრაქციის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვლადიმერ ტალახაძემ მთელი პასუხისმგებლობით დააყენა საკითხი ზვარის მინერალური წყლის უმოქმედობისა და იქ არსებული პრობლემების შესახებ. ზვარეს ჩამომსხმელ ქარხანაში ათეულობით პიროვნებები იყო დასაქმებული და მათ მატერიალურ საარსებო წყაროს წარმოადგენდა და რაიონის ეკონომიკაშიც გარკვეული წილი მასზე მოდიოდა. საჭიროა და მოსახლეობა იმედის თვალით უყურებს ამ მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტის დროულად ამოქმედებას.

ასევე წიფის დეპუტატმა ისაუბრა წიფის ტერიტორიაზე არსებული გრანიტის საბადოს შესახებ, რომელსაც წარსულში ჩიტაძეების საგვარეულო აწარმოებდა და სადღეისოდ მისი ამოქმედება მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მეტად პერსპექტიულია. იყო თხოვნა სათანადო ინსტანციებზე დაისვას საკითხი ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

2014 წლის 22 სექტემბერს ფრაქციის სხდომაზე მოსმენილი იქნა საკითხი მუნიციპალიტეტში ცხოველთა სასაკლაოს შექმნის თაობაზე. დაბის ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებლები: რეზო და ნუნუ ბერაძეები; ვერიკო ხარაძე, გივი, აკაკი, ბესო, გოჩა, ჯემალი მაღლაფერიძეები, საკოლმეურნეო ბაზრის თანამშრომლები, ისლარში მცხოვრები ლევან ტაბატაძე სისტემატურად გამოთქვავდნენ გულისტკივილს ამ სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად. პირუტყვის სასაკლაოს შექმნის თემა წლების განმავლობაში აწუხებდა მოსახლეობას. არის კანონის გვერდის ავლის, ხორცის ფარულად გაყიდვის შემთხვევები, რაც ხალხის ჯანმრთელობის დარღვევის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს.

სხდომაზე მოწონებული იქნა მტკივნეული სოციალური პრობლემის ამოწევა, რაზედაც ფრაქციის წევრების მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი ამ თემასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №15 დადგენილებით არსებობს ტექნიკური რეგლამენტი - „ცხოველთა სასაკლაოების ტიპობრივი წესის“ დამტკიცების შესახებ, სადაც ზოგად წესებში აღნიშნულია - „ცხოველების სახორცედ დაკვლა მათი რეალიზაციის მიზნით დაიშვება მხოლოდ სასაკლაოებზე ვეტერინალურ-სანიტარული ზედამხედველობის ქვეშ. ქვეყნის თითოელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში აუცილებელია არანაკლებ ერთი სასაკლაოს არსებობა.“

2014 წლის 3 ნოემბერს საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს დებულების 82-ე მუხლის საფუძველზე მრეწველთა ფრაქციამ ინიცირების წესით – წერილობითი განცხადებით დააყენა საკითხი, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშაოს პირუტყვის სასაკლაოს შექმნის აუცილებლობა და

წარმოადგინოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში ერთჯერადი დაფინანსებისათვის.

დაყენებული საკითხი სადღეისოდ კვლავ პრობლემატურია, გადაწყვეტას საჭიროებს. მუნიციპალიტეტის გამგებლის ზეპირსიტყვიერი განმარტებით ობიექტური მიზეზის გამო 2015 წლის ბიუჯეტში შეუძლებელი გახდა ერთჯერადი თანხის გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით პირუტყვის სასაკლაოს მოსაწყობად. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულება პოზიტიურია, საკითხის მოგვარება სამომავლო ინტერესებში შედის.

2014 წლის 24 ნოემბერს ფრაქციის სხდომაზე მოსმენილი იქნა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისათვისს, სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად ხარჯვაზე. ვაზის სანერგე მეურნეობის შემდგომი სრულყოფისათვის 2015 წელს მოთხოვნილი იყო 50,0 ათასი ლარი. ფაქტიურად ჩასმულია 30,0 ათასი, რაც არ არის საკმარისი. პირუტყვის სასაკლაოს მოწყობისათვის დაყენებული საკითხი არ დაფინანსდა.

მოხსენებითი ბარათი აღნიშნული შენიშვნებით ჩაბარდა საკრებულოს აპარატს.

2014 წლის 27 ნოემბერს სოფელ ფარცხნალში ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში შედგა ამომრჩეველთა შეხვედრა. ესწრებოდა 60-70 ამომრჩეველი. იყო კონკრეტული საუბარი სხვადასხვა სოციალურ პრობლემებზე. ასევე დააყენეს საკითხი პირუტყვის სასაკლაოს მოწყობის შესახებ. განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ვაზის ნერგების გაცემის თაობაზე. განემარტათ, რომ ვაზის ნერგები სოციალურად დაუცველ პიროვნებებზე შერჩევის წესით გაიცემა 2015 წლის აპრილში, რაზედაც აუცილებელი იქნება მიწის ნაკვეთის მომზადება.

ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმი ჩაბარდა საკრებულოს აპარატს.

2015 წლის 23 თებერვალს ფრაქციის სხდომაზე მოსმენილი იქნა სოფელ ღარიხევში მცხოვრები ანზორ კამკამიძის წინადადებით ნატურალურ პროდუქტებზე დამზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის შექმნის შესახებ. წარმოადგინა ახალ პროდუქციაზე სასარგებლო ხარისხობრივი მაჩვენებლების ანოტაცია: აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, წვავს ზედმეტ ქოლესტერინს, მეტად სასარგებლოა ჭარბი წონის მქონე ადამიანებისათვის, სპორტსმენებისათვის, ბავშვებისათვის და სხვა/. აღნიშნული თემა გახდა მსჯელობის საგანი. ჩვენი გადაწყვეტილებით ნიმუშები წარადგინა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში,სადაც გაიარა საგამოცდო ლაბორატორიული შემოწმება-ექსპერტიზა და მიიღო დადებითი შეფასება. ამით წინაპირობაა შექმნილი

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. დგას კოოპერატივის შექმნისა და იაფი დაფინანსების საკითხი.

2015 წლის 30 აპრილს „ქართული ოცნება-მრეწველების“ სხდომაზე განხილული იქნა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ფრაქციის წევრებმა გაამახვილეს ყურადღება ზოგიერთ ხარვეზებზე, რაც ანგარიშში იყო წარმოდგენილი.

ბესიკ ტალახაძის შეკითხვაზე ვლადიმერ გელაშვილმა უპასუხა, რომ ვაზის სანერგე მეურნეობაზე 30.0 ათასი ლარის ნაცვლად გაცემულია 25.0 ათასი ლარი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს გასული წლის ბიუჯეტის ანგარიში.

აუდიტის დასკვნა მიღებული იქნა ცნობად.

2015 წლის 15 მაისს შედგა ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ სხდომა. სხდომას ესწრებოდა გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში თემური ჩხეიძე, მოსმენილი იქნა ვაზის სანერგე მეურნეობის სპეციალისტის ამირან ოქრომჭედლიძის ინფორმაცია გეგმიურ საკითხზე: „ვაზის სადედეს შექმნის, ვაზის სამყნობი და საძირე მასალების მოძიების, ნამყენი ნერგის წარმოებისა და გაშენებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“.

როგორც ა.ოქრომჭედლიძე აღნიშნავს 2014 წლიდან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა დაფინანსდა 30 ათასი ლარით, რომელიც შეიქმნა სოფელ კიცხში 3000 m^2 მიწის ნაკვეთზე. მოეწყო ვაზის სადედე 0,4 ჰა ფართობზე. მოძიებული და შეძენილი იქნა კახეთის რეგიონიდან 11000 ვაზის საძირე ლერწი. გამოყენებული იქნა ადგილობრივი სანამყენე კვირტი ციცქის ჯიშისაგან, მყნობა განხორციელდა მოწვეული პროფესიონალი მყნობელებისაგან 9300 ძირზე. ერთი წლის შემდეგ მოხდა ვაზის ნერგის ამოღება გრუნტიდან, დახარისხება და უფასოდ გაცემა სოციალურად დაუცველ ბენეფიციალებზე. 2015 წლის აპრილისა და მაისის თვეში მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით სულ 13 ადმინისტრაციულ ერთეულში გაცემულია 70 პიროვნებაზე 6000 ცალი ვაზის ნამყენი ნერგი.

ფრაქციის წევრებმა დადებითად შეაფასეს გაწეული საქმიანობა და აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის უშუალო მხარდაჭერის შედეგია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ პოლიტიკურ ინტერესში გათვალისწინებული იყო ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის დროული

ფუნქციონირებისათვის კიცხისა და წყალაფორეთის ტერიტორიაზე არსებული 23 ჰექტარი მიწის გადმოცემა. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის აქტიური პოზიციების, დასაბუთებული, არგუმენტირებული წინადადებების საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 ივლისის № 1/1-2756 ბრძანებით განხორციელდა აღნიშნული 23.0 ათასი $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო სახნავი დანიშნულების მიწის ფართობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოცემა. ეს პროცესი წინგადადგმული ნაბიჯია მოსხახლეობის დასაქმების, ვაზისა და ხეხილის ნერგების წარმოების გეგმაზომიერი განვითარებისათვის. საჭიროა ამ უბანზე სწორი აგრარული პოლიტიკის განხორციელება მოკლევადიან პერსპექტივაში. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ნიადაგის ბიოქიმიური კვლევის საფუძველზე ვაზისა და ხეხილის სანერგეების გაშლა-გაფართოება, უპირატესი, პერსპექტიული კოოპერატივების (მევენახეობის, მეხილეობის, თუთის ნერგის წარმოების) შექმნა. ვისურვებდი სტრატეგია გავთვალოთ უერო შორეულ მომავალზეც.

როგორია ჩვენი ხედვა ამ მიმართულებით?

სტატისტიკით საქართველოში მოსახლეობის 53-55% დასაქმებულია სოფლად. მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი არის 9,5 %. ეს დაბალი მაჩვენებელია. (ხარაგაულში კიდევ უფრო დაბალი).

1992 წლიდან მიწის რეფორმის შემდეგ, როცა მოქალაქეებს გადაეცათ მიწის ნაკვეთები, ძალიან დაქუცმაცდა მიწის ფართობები, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, ხარაგაულში კიდევ უფრო მეტად. ნაკვეთები გაფანტული და დანაწევრებულია და თანაც ძნელად მისადგომი. უმეტეს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც ვერ მუშაობს და შრომის რენტაბელობის დონე დაბალია.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლება დაადგა კოოპერირების გზას. კოოპერირება ეს არის ნებაყოფილებითი გაერთიანების პროცესი, რომ ამ პროცესში გაერთიანებულმა ადამიანებმა დაინახონ ურთიერთთანამშრომლობის სიკეთეები. ამ კანონით დაიგეგმა კოოპერატივებისათვის გრანტები, საგადასახადო შეღავათები და სხვა.

კოოპერატივის მთავარი სიკეთე არის, რომ დაქუცმაცებული მიწის ნაკვეთები გააერთიანოს და შრომის ნაყოფიერება აამაღლოს, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები და ცოდნა. ამიტომ კოოპერირება არის არა მარტო მექანიკური გაერთიანება, არამედ სოციალური

სოლიდარობის, ურთიერთდახმარების გამოხატულება, რაც მეტად ეფექტურია და ჩვენს შემთხვევაში სოფლად ბევრ ადამიანს აკლია.

მიწის გადმოცემის შემდეგ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ უბანზე შეიქმნას პერსპექტიული, უპირატესი მევენახეობის, მეხილეობის, თუთისა და სხვადასხვა ნერგების წარმოების კოოპერატივები. ამაში ჩვენი მოსახლეობა უნდა დავარწმუნოთ.

ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში პირველ ეტაპზე უნდა გადაწყდეს წყლით უზრუნველყოფა სამარაგო ტევადობებით და ამოქმედდეს წვეთოვანი მორწყვის სისტემა.

-მოწესრიგდეს სასათბურე მოწყობილობა მყნობის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად დაცვისათვის ტემპერატურული და ტენიანობის ოპტიმალური რეჟიმის გათვალისწინებით.

-შეძენილი იქნას სათანადო ტექნიკა შეუფერხებელი აგროსამუშაოების ჩასატარებლად.

-უნდა დაწესდეს მოსახლეობაზე გაცემული ნერგების მოვლა-პატრონობაზე ზედამხედველობა და კონტროლი ადმინისტრაციული ერთეულების თანამდებობათა პირებისაგან.

-ეთხოვოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო – საკონსულტაციო რეგიონალურ სამსახურს გაუწიოს მოსახლეობას სათანადო კონსულტაცია – რეკომენდაციები დროული აგროტექნიკური ღონისძიებების გასატარებლად ნერგების განაშენიანების სრულყოფის საქმეში.

-მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს შემდგომში ვაზისა და ხილის ნერგები გაიცეს ამ საქმით დაინტერესებულ, გამოცდილ პიროვნებებზე.

-მიგვაჩნია სავენახედ გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ბიოქიმიური ანალიზების კვლევა-რეკომენდაციების განხორციელება. ისე, რომ მომავალი ღვინის ხარისხი ვენახიდან შედგეს. უნდა დაწესდეს ვენახების კადასტრის და მევენახის რეესტრის შექმნის აუცილებლობა. აქედანვე უნდა გავატაროთ კანონით „ვაზისა და ღვინის შესახებ“ გათვალისწინებული თანმიმდევრული ღონისძიებანი, რომ ხარაგაულის უნიკალურ რეგიონში შევძლოთ ადგილწარმოშობის, კონტროლირებადი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს წევრს მქონდა შეხვედრები ამომრჩევლებთან. მოვისმინე, ჩავინიშნე მათი წინადადებები. სოფელ ბაზალეთში 2014 წლის სექტემბერში თხელიძეებისა და დევდარიანების უბანში მოსახლეობა მოითხოვდა წყაროს აღდგენას, სოფელ ქროლის

მაცხოვრებლები ასევე წყლით უზრუნველყოფის საკითხს. სოფელ ზედა ღარიხევში დეკანოსიძეების უბნის მკვიდრნი მოითხოვდნენ 200 გრძივ მეტრზე სამანქანო გზის დახრეშვა შეკეთებას. დაყენებულ საკითხებზე ბაზალეთის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ვიმსჯელეთ, გავააქტიურეთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში და შეტანილი იქნა მიმდინარე წლის განსახორციელებელ სამუშაო ნუსხაში.

2015 წლის ივნისში დაბა ხარაგაულში 9 აპრილის მეორე და მესამე ჩიხის მაცხოვრებლებთან შეხვედრაზე გამახვილდა ყურდღება რახიელის კალაპოტში არსებული მდგომარეობის შესახებ. სტიქიით გამოწვეული ნიაღვრის შედეგად ამოვსილია კალაპოტი ხის ნარჩენებისა და ღორღისაგან. ჭარბი წვიმიანობის დროს იქმნება დიდი საფრთხე მიმდებარე ტერიტორიის მასიურად დატბორვისა. შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა თითქმის საგანგაშოა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მ/წლის ივლისის საკრებულოს სხდომაზე გავაკეთე განცხადება გადაუდებელი სამუშაოების დროულად განხორციელების თაობაზე, რაზედაც მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 27 ივლისს მიეცა დავალება ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ არსებული მდგომარეობის ოპერატიულად შესწავლისა და პრობლემის მოსაგვარებლად. საკითხი კონტროლზე პირადად მაქვს აყვანილი.

არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ამაღლების საქმეში. ძირითადად ეს ეხება სამრეწველო წარმოების საქმიანობას. მრეწველობა ხომ ეკონომიკური წინსვლისა და ქვეყნის სიძლიერის საფუძველია. ფაქტია, რომ უჭირს ღვინის საწარმოებს, უმცირესი წარმადობით ფუნქციონირებს მარელისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკა. გაუქმებულია და აღარ ფუნქციონირებს ზვარის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, უბისის საკონსერვო წარმოება, მარმარილოსა და გრანიტის მაღაროთა სამმართველო, გამთიშველების ქარხანა და სხვა, სადაც ასეულობით ადამიანები იყვნენ დასქამებულნი და უდიდესი წვლილი შეჰქონდათ რაიონის ეკონომიკაში.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად მოსახლეობა უკმაყოფილებას და უდიდეს გულისტკივილს გამოხატავს ხე-ტყით სარგებლობის მიუწვდომლობის საკითხში, რაზედაც არაერთჯერ აღუნიშნავთ ჩვენს კოლეგებს – დეპუტატებს საკრებულოს სხდომებზე თუ ოფიციალურ შეხვედრებზე.

ბუნებრივი რესურსების გარკვეული დიდი მარაგი არსებობს ჩვენს რეგიონში, რომელსაც კარგავს მოსახლეობა, რადგან დღემდე ვერ მოგვარდა

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების საწარმოს შექმნა, რაც სახელმწიფო პროგრამით არის გათვალისწინებული, თუმცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ამ თემასთან დაკავშირებით მზაობა და პოზიციური დამოკიდებულება გააჩნია.

მინდა შევეხო საკრებულოს საქმიანობის ზოგიერთ პრინციპებს და გულწრფელად ავღნიშნავ, რომ თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო მხლოდ კანონიერებას, საჯაროობას და კოლეგიურობას, ანგარიშვალდებულებას უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის წინაშე.

მახარებს მთელი რიგი წარმატებები, რაც ბოლო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება, მწყენს რაც არ ეკადრება საკანონმდებლო ორგანოს, საკრებულო ნამდვილად არ არის უპატივცემლობის, კაცთა შორის ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევის ადგილი და საშუალება. არაკოლეგიური დამოკიდებულება დაღს უსვავს საკრებულოს საერთო წარმატებებს.

ვაკეთოთ რაც ჩვენს უფლება-მოვალეობებშია, სიკეთე და წარმატებები მოუტანოთ ჩვენს მშობლიურ ხარაგაულს, ინტელექტულურ-სათაყვანებელ ხარაგაულელებს.

ფრაქცია „ქართული
ოცნება–მრეწველების“

თავმჯდომარე: ი.კელენჯერიძე